აყვავდი, ტურფა ქვეყანავ!

კომუნისტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 4 (309) გამოცემის მე-17 წელი
1978 წლის თებერვალი


არსებობს თქმა — ნახე ნეაპოლი და მოკვდი. მე სხვანაირად ვიტყოდი. სჯობს იცოცხლო, რომ საქართველო ხელმეორედ ნახო.

იან ჭარტა,
ჩეხი ჟურნალისტი.

გალაკტიონი

რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უაღრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაუინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან;
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას —
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ მზეზე;
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,
რევოლუციურ საქართველოს —
ნახტომს უდიდეს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!



თბილისი — ლენინის მოედანი

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

20 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენებით — „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

21 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა განაგრძო.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ბ. ბილაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. კობახია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ შიგმჩარხავი ა. ლ. კუდრენკო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი პ. ვ. გუგუშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, სკკპ წევრი 1917 წლიდან ვ. პ. ნადარეიშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ჯუსოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი დ. დ. მაღალაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბ. პაპაშიძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. მ. ხაბეიშვილი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ლ. ტ. ჩხაიძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ი. დ. ქინქლაძე, თელავის რაიონის ნაფარეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ზ. ს. ხოლუაშვილი, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კობახიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი დ. გ. ცხელიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თ. პ. ბუაჩიძე, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ა. დუკმასოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ი. შხვაცაბაია, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ნ. შავიშვილი, კინორეჟისორი რ. დ. ჩხეიძე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. შ. ი. ჭანუყვაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ბ. ბ. გიბიბერია.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ვ. მ. სირაძე.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ო. შ. ჩერქეზია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მისი დანიშვნის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. შ. ვ. ყარყარაშვილი და გაათავისუფლა იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოვალეობისაგან.

პლენუმმა დაამტკიცა:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგედ ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგედ ამხ. ა. ა. მანელაშვილი და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ ამხ. ო. შ. ქაჯაია.

ილიინე ივერთ

საქართველოს დიდების გზა

ერმალო ჯაფარიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,

სახელმწიფო საბეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.



საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობა ვითარდებოდა ისეთი ტემპით, რომელიც მიუწვდომელია არა მარტო კლასობრივი ანტაგონისტური წყობილების პირობებში მყოფი მცირერიცხოვანი ერისათვის, არამედ განვითარებული მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც კი.

საბელოვანი ნაბეკარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მოპოვებულ მიღწევათა შორის მთავარი და განმსაზღვრელი სწორედ სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის შედეგებია.

რევოლუციის წინა წლებში საქართველო იყო ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელსაც ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა და ნაკლებპროდუქტიული, უპირატესად წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა ჰქონდა. 1922-1923 სამეურნეო წელს სოფლისა და ტყის მეურნეობაზე მოდიოდა რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 71,4%, ხოლო მრეწველობაზე — 16,5%.

რევოლუციამდელ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქცია იწარმოებოდა დაახლოებით 4-ჯერ ნაკლები ოდენობისა, ვიდრე ყოფილი რუსეთის იმპერიის ერთ სულ მოსახლეზე. ეროვნული შემოსავალი 1913 წელს ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ საქართველოში თითქმის 2-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთის ევროპულ ნაწილში. ისიც სათქმელია, რომ იმ დროისათვის მეფის რუსეთი თვითონაც ძალზე ჩამორჩებოდა მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებს.

რევოლუციამდელ საქართველოში შედარებით მნიშვნელოვანი იყო მარგანეცის მოპოვება, თუმცა მადნის ამოღება პრიმიტიული, ბარბაროსული წესით ხდებოდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე დაისახა და განხორციელდა ღონისძიებათა კომპლექსი ერთა ფაქტიური ეკონომიური უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით ყოფილი კოლონიური განაპირა მხარეების სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა მთლიანად საბჭოთა კავშირში უმთავრესად ბორციელდებოდა მეურნეობის აღდგენითი სამუშაოები, საქართველოში აღდგენასთან ერთად, ამ დროის კვალობაზე, დიდი მასშტაბით გაიშალა ახალი ობიექტების მშენებლობაც.

დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა მთავრობის უანგარო დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დაიწყო 20 მსხვილი საწარმოს მშენებლობა. მათ შორის იყო საქართველოს ენერგეტიკის პირმშო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური (ზაჰესი).

პირველსავე წლებში მოხდა ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობის, აგრეთვე ზოგი სხვა საწარმოს ძირეული რეკონსტრუქცია. შეიქმნა თანამედროვე მანქანათმშენებლობის საწარმოები, ქიმიური მრეწველობა, ფეროშენადნობთა წარმოება. მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნის მიზნით, ზაჰესის გარდა, აშენდა რიონის, ბრამის I და II, აჭარისწყალის და მრავალი სხვა თბო- და ჰიდროელექტროსადგური, ახლად შეიქმნა აბრეშუმის, შალის ქსოვილების, ჭაღალდის, ჩაის, შაქრის, შამპანური ღვინოების, კონსერვების წარმოება, გაფართოვდა და ახალი ტექნიკით შეიარაღდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ბევრი სხვა საწარმო. 1940 წელს საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1913 წლის დონეს აღემატებოდა 10-ჯერ, მძიმე მრეწველობის პროდუქცია — 27-ჯერ, როშელთაგან სამრეწველო პროდუქციის ოთხი მეხუთედი ახალი საწარმოების წილად მოდიოდა.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის რევოლუციური გარდაქმნების შეორე მთავარი მიმართულება იყო რესპუბლიკის წვრილგლეხური მეურნეობის გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, რაც ნიშნავდა სოციალური ბაზის შექმნას სოფლად. რესპუბლიკაში პირველი ტრაქტორი 1924 წელს გამოჩნდა. 1928 წელს რესპუბლიკაში არსებობდა 239 სახოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებული იყო სულ 3,4 ათასი კომლი. 1937 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხთა მეურნეობების 76,5 პროცენტი, ხოლო 1940 წლის დამლევისათვის — 94,1 პროცენტი, რაც 476,1 ათას კომლს შეადგენდა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შემადგენელი ნაწილი იყო საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, რომელთა რიცხვი 1940 წლისათვის 76-მდე გადიდდა. სოფლის მეურნეობის სოციალური სტრუქტურის გარდაქმნას თან ახლდა მისი დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებიც, რასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი სპეციალიზაცია შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით შეიქმნა სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველი. წარმოიშვა ახალი დარგები: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება. ფართოდ განვითარდა ტრადიციული დარგები: მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. საკოლმეურნეო წყობილებამ ფართო გასაქანი მისცა საქართველოს სოფლის საწარმოო ძალთა მძლავრ აღმავლობას, დაანახა გლეხობას საუკუნეობრივი ჩაგვრისა და სიღარიბისაგან განთავისუფლების, შეძლებული, კულტურული ცხოვრების ნათელი გზები.

1972 წელს საქართველოს თბილისში ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 10 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც 485-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

საბჭოთა საქართველო აწარმოებს მძლავრ სამაგისტრალო ელექტრომავლებს, სატვირთო ავტომობილებს, წყალქვეშაფრთიან ზღვის კატარღებს, ელექტროძრავებს, კომპრესორა ამწეებს, რთულ ლითონმჭრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამომთვლელ და მმართველ მანქანებს, არტეზიულ ტუმბოებსა და შესაწოვ დანადგარებს, ჩაის საკრეფ მანქანებს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ქვანახშირსა და კოქსს, მარგანეცსა და ფეროშენადნობებს, მინერალურ სასუქებსა და სინთეზურ ბოჭკოებს, საშენ მასალებსა და პლასტმასის ნაწარმს. აგრეთვე სახალხო მოხმარებისათვის განკუთვნილ მსუბუქი და კვების ინდუსტრიის ნაწარმთა ფართო ასორტიმენტს. ამჟამად საბჭოთა საქართველოში მზადდება 2,3-ჯერ მეტი ლითონმჭრელი ჩარხი, ვიდრე მთელ მეფის რუსეთში 1913 წელს.

რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა მზარდი სამეურნეო კავშირი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან, აგრეთვე ფართო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია საექსპორტოდ იგზავნება ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტზე, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ მრავალი მაღალგანვითარებული სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყანა.

შეიძლება ითქვას, რომ სამრეწველო განვითარების თანამედროვე დონით საქართველომ შორს ჩამოიტოვა მრავალი კაპიტალისტური ქვეყანა. 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოში დაახლოებით 8,6-ჯერ მეტი ელექტროენერგია, 2,7-ჯერ მეტი თუჯი, 2,4-ჯერ მეტი ბამბისა და 6,8-ჯერ მეტი შალის ქსოვილები იწარმოება, ვიდრე თურქეთში.

1972 წელს მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 85-ჯერ გაიზარდა. ამჟამად რესპუბლიკაში ხუთი დღის მანძილზე იმდენივე პროდუქცია გამოდის, რამდენიც რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში გამოდიოდა. მრეწველობის წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში 64 პროცენტს აჭარბებს, ხოლო სოფლის მეურნეობის — 36 პროცენტს.

ეროვნულ შემოსავალში 42 პროცენტს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნითა და ტექნიკური რეკონსტრუქციით მომზადდა ნიადაგი საქართველოში მრავალდარგოვანი ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარებისათვის, მიწათმოქმედების სტრუქტურის შეცვლისა და აგროკულტურული დონის ამაღლებისათვის.

წარმოების კონცენტრაციის, ტექნიკური შეიარაღებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველზე მიღწეულია შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1972 წელს ერთ მილიარდ მანეთს აღემატებოდა (1965 წლის შესადარი ფასებით) და 6,8-ჯერ სჭარბობდა 1913 წლის დონეს, ამასთან მემცენარეობის პროდუქცია გადიდდა 11,2-ჯერ, მეცხოველეობა — 3-ჯერ. პროდუქციის მთავარ სახეობათა მიხედვით საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა საერთო მოსავალსა და დამზადებებში განუწყვეტლივ მაღლდება. 65 ათას ჰექტარზეა გადაშლილი ჩაის პლანტაციები. რესპუბლიკის წილად მოდის სსრ კავშირში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების 95 პროცენტი. ჩაის ფოთლის მოსავლიანობით, სამუშაოთა მექანიზაციით, საკრეფი მანქანის შექმნით და გამოყენებით საქართველომ უკან მოიტოვა ჩაის მწარმოებელი ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორიც არის შრი-ლანკა. 1921 წელს საქართველოში ჩაის ნარგავებს ეჭირათ ათას ჰექტარზე ნაკლები ფართობი და მოკრიფა 550 ტონა ფოთოლი. 1972 წელს მისი წლიური მოსავალი 278 ათას ტონას უდრიდა. საქართველოს ტრადიციულ მრავალსაუკუნოვან კულტურას — ვენახის ნარგავებს რევოლუციამდე 52 ათასი ჰექტარი ეჭირა, რამაც 1972 წელს 122 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო მოსავალმა — 460 ათას ტონას. ამასთან რესპუბლიკის ზვრებში წამყვანი ადგილი უჭირავს მაღალხარისხოვან სამრეწველო ჯიშებს, რომელთა მოსავლისაგან მზადდება მსოფლიოში სახელგანთქმული ღვინოები და კონიაკები. 154 ათასი ჰექტარი უჭირავს ხეხილის კულტურებს, მათი მოსავალი 1970 წელს 393 ათას ტონას შეადგენდა. საბჭოთა საქართველო ციტრუსოვანთა ნაყოფის ძირითადი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში. 1970 წელს 16,3 ათასი ჰექტარი ციტრუსების ნარგავებიდან მიღებულია 136 ათასი ტონა ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი და სხვა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამჟამად, საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ხარისხოვანი თამბაქოსა და ეთერზეთოვანი ტექნიკური კულტურების წარმოებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა სარწყავი სისტემების ფართო ქსელი. საქართველოს ნათესებსა და ნარგავებს წყლით კვებავენ სამგორის, ალაზნის, ვანათის, კეხვის, ტაშისკარის, ტირიფონისა და სხვა სისტემები. დიდმნიშვნელოვანი ობიექტებია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობისა და კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები. თუ 1921 წელს 95 ათასი ჰექტარი ირწყვებოდა, ამჟამად სარწყავი ფართობი 855 ათას ჰექტარს აღემატება.


სოფლის მეურნეობაში შრომობს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 19 ათასი სპეციალისტი.


თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები მძლავრი კოლექტივებია, რომელთაც უნარი შესწევთ წარმატებით გაართვან თავი ურთულეს საინჟინრო და სამშენებლო ამოცანებს. 1921-1970 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ (შესადარ ფასებში, ახლანდელ ფასის მასშტაბით) შეადგინა 12 მილიარდი მანეთი, ამათგან დაახლოებით 36,5 პროცენტი გახულ მერვე ხუთწლედში დაბანდდა. კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხიდან 38,1 პროცენტი წარიმართა მრეწველობაში, 13,6 პროცენტი სოფლის მეურნეობაში და დაახლოებით იმდენივე — საბინაო მშენებლობაში.

მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების გაფართოებულ კვლავწარმოების პროცესს კვალდაკვალ მისდევდა ტრანსპორტის განვითარებაც. საბჭოთა საქართველოში მოქმედებს თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის უველა სახეობა (სამდინარო ტრანსპორტის გამოკლებით): სარკინიგზო, საავტომობილო, საავიაციო, საზღვაო.

რკინიგზის ტრანსპორტის საექსპლუატაციო სიგრძე 1415 კილომეტრს შეადგენს, ნაცვლად 728 კილომეტრისა 1913 წელს, ე. ი. თითქმის ორჯერ გადიდდა. საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის უველა უბანი ელექტრიფიცირებულია.

მატერიალური წარმოების ზრდისა და სრულყოფის პარალელურად მიმდინარეობდა უმუშაო მწარმოებელი ძალის — კვალიფიციურ მუშაკთა და სპეციალისტთა კადრების მომზადება და დაოსტატება. თანამედროვე მრავალდარგოვანი ინდუსტრიის შექმნის შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა კლასის, ინტელიგენციის ეროვნული კადრები. 1970 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საქმიანობდა დაახლოებით 1,5 მილიონი მუშა და მოსამსახურე, 8-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს. ძირეულად შეიცვალა საქართველოს მუშათა კლასის პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, განუზომლად ამაღლდა კულტურულ-ტექნიკური დონე, შეიც-











საბჭოთა კავშირის ფილმების სტუდია „ქართულ ფილმის“ ფილმის „საქართველოს დიდების გზა“ კადრები

საშოგლოს პანორამა

მ ხ ა რ ე ო

ვალა შრომის შინაარსი და ხასიათი, სისტემატურად უმჯობესდება შრომითი რესურსების გამოყენება. სახალხო მეურნეობაში მუშაობს 185 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი და 130,5 ათასი საშუალო სპეციალური განათლების მქონე.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკაში განხორციელდა საბინაო მშენებლობის ვრცელი პროგრამა, სახელმწიფო, კოოპერაციული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა და მოსახლეობის სახსრებით, კრედიტის დახმარებით 1921-1970 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 41,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. მარტო 1960-1969 წლებში თანამედროვე კომუნალური მომსახურებით კეთილმოწყობილ სახლებში ბინა მიიღო 1,4 მილიონმა კაცმა, ე. ი. რესპუბლიკის მოსახლეობის 30 პროცენტმა.

სახელმწიფო წლითიწლობით დიდძალ სახსრებს ხარჯავს ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებაზე. რესპუბლიკის კომუნალური ტრანსპორტის მშვენებაა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი; მერვე ხუთწლედში შეუერთდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო; დღეს არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში დაინერგა ელექტროენერგია, გაზი, რადიო, ტელევიზია; წლითიწლობით ფართოვდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 18,4 ათასამდე ექიმი და 42 ათასზე მეტი საშუალო სამედიცინო განათლების მქონე პერსონალი. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასა და დასვენებას ემსახურება რესპუბლიკაში შექმნილი საკურორტო მეურნეობა, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ბაზების, ბანაკების მზარდი ქსელი. დიდად უწყობს ხელს ჯანმრთელობის დაცვას და სიცოცხლის გახანგრძლივებას მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა. საყოველთაოდ განხორციელებულია შვებულებები ხელფასის შენარჩუნებით. უკანასკნელ წლებში მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობა გადაუვანილია ორ დასვენებისდღიან 5-დღიურ სამუშაო კვირაზე, რაც ფრიად აუმჯობესებს შრომის, დასვენებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების პირობებს, აძლიერებს ყურადღებას ოჯახისა და მოზარდი თაობისადმი.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი წარმატებები ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ქსელის განვითარებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში. რევოლუციამდე რესპუბლიკის მოსახლეობის 76% (9-49 წლის ასაკის) უწიგნური იყო.

ამჟამად საქართველოში ერთი მილიონ 200 ათასზე მეტი მცხოვრები, ე. ი. მთელი მოსახლეობის მეოთხედი სწავლობს უფასოდ საერთო საგანმანათლებლო, პროფესიულ, ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. თუ 1914-1915 წლებში საქართველოში სულ 1765 სკოლა იყო, მათ შორის მეტი წილი დაწყებითი, სადაც 157 ათასი ბავშვი სწავლობდა, დღეს რესპუბლიკაში 4486 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა 1051.4 ათასი მოსწავლით, რომელთაც 80 ათასზე მეტი მასწავლებელი ასწავლის.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ 1 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა, ყოველ 10 ათას კაცზე ერთი სტუდენტი მოდიოდა, ამჟამად რესპუბლიკაში არის 200-მდე სამეცნიერო დაწესებულება და 18 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც მუშაობს 21.5 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მათ შორის არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 114 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა 1052 დოქტორი და 6348 კანდიდატი. 10 ათას კაცზე მეცნიერი მუშაკების რიცხვით (45 კაცი) საქართველომ გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის აშშ, გფრ, ინგლისი და სხვები.

ყოველ 10 ათასი მცხოვრებისაგან საქართველოში 190 სტუდენტია. მეზობელ თურქეთში 10 ათას მცხოვრებზე მხოლოდ 29 სტუდენტი მოდის.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებები და დავალებები დაწვრილებით განიხილა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ. ისინი დაზუსტებული და დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებში 1971-1975 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ. როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში ახალ ხუთწლედში ეკონომიკის განვითარების მზარდი მასშტაბების დასახვა შესაძლებელი გახდა განვლილ მერვე ხუთწლედში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე. „მეცხრე ხუთწლედი კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“. ამ მთავარი ამოცანის შესაბამისად დასახულია საზოგადოებრივი წარმოების მაღალი, მყარი ტემპებისა და პროპორციული განვითარების უზრუნველსაყოფა, იმ დარგების წინგამსწრები განვითარება, რომლებიც უპირატესად სახალხო მოხმარების საგნებს აწარმოებენ.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ღრმა თვისობრივ ძვრებს ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში.

გათვალისწინებულია რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 44 პროცენტით გადიდდეს, ამასთან უპირატესი ზრდის ტემპით ხასიათდება ელექტროენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობის არანაკლებ დარგები, სამშენებლო მასალების წარმოება, აგრეთვე ეკონომიურად ხელსაყრელი და ტექნიკურად პროგრესული ქვედარგები.

საქართველოს მანქანათმშენებლობის პროდუქცია დაახლოებით 1,7-ჯერ უნდა გაიზარდოს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზრდება ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოშვება და ელექტროტექნიკური მრეწველობა.

შავ და ფერად მეტალურგიაში წარმოების პროცესების ინტენსიფიკაციის საფუძველზე დასახულია თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების გაფართოება, ფერად მეტალურგიაში არსებულ სიმძლავრეთა ექსტენსიური და ინტენსიური დატვირთვის გადიდებასთან ერთად გათვალისწინებულია მადნეულის სპილენძ-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამთავრება, რომელიც რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ცენტრად გადაიქცევა. თითქმის ორჯერ გაიზრდება ქიმიური მრეწველობის პროდუქცია.

საშენ მასალათა წარმოების მოცულობა 78 პროცენტით უნდა გადიდდეს, საკედლე მასალების წარმოება — 64 პროცენტით, შიფერის გამოშვება — 2-ჯერ, ხოლო ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციისა და დეტალების წარმოება — 1,8-ჯერ, სამშენებლო მასალების მრეწველობის საწარმოებში სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე 1975 წლისათვის 80%-ს მიაღწევს.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ხუთწლედში 43%-ით გაიზრდება, მათ შორის შალის ქსოვილების გამოშვება 1,5-ჯერ გადიდდება. სწრაფი ტემპით ფართოვდება ტრიკოტაჟის, სამკერვალო ნაწარმის გამოშვება.

შემდგომ განვითარებას პოვებს რესპუბლიკის მრავალდარგოვანი კვების მრეწველობა. ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა იმ დარგების გაფართოებას, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. 1975 წლისათვის რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებმა 2-ჯერ მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვან, ვიდრე 1965 წელს. მეცხრე ხუთწლედში 1970 წელთან შედარებით ჩაის წარმოება 1,1-ჯერ გაიზრდება, რძის მრეწველობის პროდუქცია — 1,7-ჯერ, ხილბოსტნეულის კონსერვების გამოშვება—1,4-ჯერ, ყურძნისა და ღვინისა — 1,1-ჯერ, ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა — 2-ჯერ, საშაქრესამო ნაწარმის გამოშვება — 10 ათასი ტონით, მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის წარმოება წინა ხუთწლედთან შედარებით 23 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს.

მეცხრე ხუთწლედის ბოლოს გათვალისწინებულია 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მოკრეფა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომ განმტკიცებას. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას კიდევ უფრო განამტკიცებს მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკის მიწოდების მკვეთრი გადიდება. მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს 15 400 ტრაქტორს, 1 200 მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, 12 000-მდე ავტომანქანას.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება სატელეფონო სადგურებისა და კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობა.

დახასულია კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამა. მეცხრე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 5341 მილიონ მანეთს შეადგენს, ე. ი. 48 პროცენტით იზრდება. კაპიტალური მშენებლობის განსაკუთრებით ფართო გაშლა გათვალისწინებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხაზით.

მატერიალური წარმოების ზრდის პროგრამის შესაბამისად მეცხრე ხუთწლედში 45 პროცენტამდე გადიდდება გამოყენებული ეროვნული შემოსავალი. წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებლობას იძლევა გავადიდოთ სახალხო მოხმარების წილი ეროვნულ შემოსავალში.

აშენდება 4,63 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.


* * *

ისტორიული გამოცდილება, შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ახალი გამოვლინებები საფუძველს გვაძლევს სრული რწმენა ვიქონიოთ, რომ ახალი ხუთწლედის დავალებები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდება. ამით ორგზის ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საქართველოს მშრომელები ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის დაჩქარებასა და ქართველი ხალხის კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრებით უზრუნველყოფაში.

ჩემი საქართველო

მალე გაზაფხული მოგრძანდება,
ხევში ნაკადული მომძლავრდება,
ტყეში ხარირემი აბღავლდება,
ნუში და ტყემალი აყვავდება.
ცას ოქროს სარტყელი
ხელიდან გაუსხლტება,
თბილისის ქუჩებზე გადაირკალება,
იქუხებს...
ენძელებს გულები გაუსკდებათ
მცხეთის და თბილისის კარებთან.
მალე გაზაფხული მოგრძანდება,
მტკვარი და ლიახვი მომძლავრდება,
ტყეში ფშერიემი აბღავლდება,
ია და ყოჩივარდა აყვავდება.
მალე ოცდახუთი თებერვალი
თეთრად და გარდისფრად გაწვიმდება,
შენი იალგუზი,
მზეში შეფერილი,
როგორც დედის შუბლი, გაბრწყინდება.
მოვალ, მოგბილოცავ
კეთილს და ნებარს,
შენ — ჩემი ლხენაც და ფიქრიც რომ მოგბანდე!
და ყველა დედაზე საყვარელ დედას
იმას და ენძელებს
მუხლმოყრით მოგართმევ.

ალექსანდრე ტაბატაძე



საქართველოს გარაჟი

საშოგლო

რა ჰქმნა „დაისმა“

1973 წლის 14 იანვარი კიდევ ერთი ბედნიერი დღე იყო არა მარტო ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისისათვის“, არამედ საერთოდ ქართული კულტურისათვის— ამ დღეს გაიმართა „დაისის“ პრემიერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენში, რომელიც საფრანგეთის საზღვართან მდებარეობს.

ოპერა „დაისი“ საარბრიუკენში დადგა თბილისიდან ჩასულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა — დირიჟორი დიდიმ მირცხულავა, რეჟისორი გიზო ჟორდანია, ქორეოგრაფი და ბალეტის სოლისტი ვახტანგ გუნაშვილი, მხატვარი თეიმურაზ სუმბათაშვილი.

„დაისის“ პირველ ორ სპექტაკლში — 14 და 18 იანვარს იმღერეს შესანიშნავმა ქართველმა მომღერლებმა ლამარა ჭყონიამ (მარო), ნოდარ ანდღულაძემ (მალხაზი) და შოთა კიკნაძემ (კიაჯო).

საარბრიუკენის თეატრის დასმა, ორკესტრ.მა და გუნდმა, ბალეტმა თუ სოლისტებმა უზომო სიყვარულითა და შოწადინებით იმუშავეს ზაქარია ფალიაშვილის ოპერაზე და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ იგი უმაღლეს დონეზე აყღერებულიყო, არ დაეკარგა ქართული სიმღერისა და ცეკვის, ქართული ქცევისა და მოძრაობის შნო და ლაზათი.

ამ მიზნის მიღწევა არც ისე იოლი საქმე გახლდათ, მით უფრო, რომ საარბრიუკენის დასში, მომღერლებსა და მოცეკვავეებს შორის, გერმანელების გარდა, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან. საარბრიუკენის თეატრის მთელი დასისა და ჩვენი დამდგმელი ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთობლივ და შეხმატკბილებულ შემოქმედებით მუშაობაში მათ არც ხელობა და არც ხელოვნება არ დააკლეს დიდებული ქართული ოპერის დადგმას. ამიტომაც ყღერდა და ბრწყინავდა ეს ხელოუქმნელი ქმნილება, როგორც უჭკნობი ეროვნული ჰანგი და საოპერო ხელოვნების თვალ-მარგალიტი.

ხალხით სავსე დარბაზში საზღვარი არ ჰქონდა დამსწრე საზოგადოების აღტაცებას ზაქარია ფალიაშვილის მუსიკით, ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. გერმანელი მუსიკისმცოდნენი და მუსიკისმოყვარულნი მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ყველა არიას, სიმღერასა და ცეკვას. ყოველი მოქმედების, სპექტაკლის დასასრულ ქუხდა ტაში, ისმოდა მოწონების გულწრფელი შეძახილები.

პრესამ მეორე დღესვე აღნიშნა, რომ „დაისი“ აღტაცების ღირსი იყო, და რომ ამგვარი რამ დიდი ხანია არ განუცდია საარბრიუკენის თეატრს.

მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ჭეშმარიტი ხელოვნებით გამოწვეული ის ოთხსაათიანი აღფრთოვანება, რომელიც საარბრიუკენის თეატრში სუფევდა.

პრემიერაზე საგანგებოდ ჩამოსული ჩვენი თანამემამულენი ვერ მალავდნენ თავიანთ სიხარულს, რასაც საფუძვლად მარტო დიდებული მშობლიური ჰანგის მოსმენა კი არ ედო, არამედ დაისის არაჩვეულებრივი წარმატებაც. ერთმა მათგანმა მცირე ხნით ლოჟაც კი დატოვა, რათა მოზღვავებული განცდები დაეშოშმინებინა...

„დაისის“ წარმატება იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა, გამოწვეული თვით ოპერის დიდი ღირსებით, იმითაც, რომ ყველაფერი შესრულდა და განხორციელდა მაღალ დონეზე, რაც საარბრიუკენისა და თბილისის საოპერო თეატრების ხელოვანთა თავდადებული შრომისა და თანამშრომლობის ნაყოფია.

პრემიერის მეორე დღესვე საარბრიუკენის თეატრის გენერალურ დირექტორს ბატონ ჰერმან ვედეკინდს ვისბადენის ტრადიციული ფესტივალის ხელმძღვანელმა ოფიციალურად გამოუცხადა, რომ ფესტივალზე იწვევს ოპერა „დაისს“ მისი ქართველი შემსრულებლებით. ცნობილია ვისბადენში „დაისის“ წარმოდგენის დღეც — 1973 წლის 19 მაისი.

ბატონმა ვედეკინდმა ოფიციალურადვე გამომცხადა, რომ მის თეატრში 1975 წლის 3 იანვარს გაიმართება ზაქარია ფალიაშვილის მეორე უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა.





სურათებზე: საარბრიუკენის თეატრის საბანკეტო დარბაზში „დაისის“ პრემიერის შემდეგ — საარბრიუკენის ბურგომისტრი ედმუნდ ჰასდენტოიფელი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვახტანგ კუპრავა, საარბრიუკენის თეატრის განერალური დირექტორი ჰერმან ვედეკინდი, საარლანდში სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ვაგნერი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი.

ქვევით — სცენა „დაისიდან“ საარბრიუკენის თეატრში. წინა პლანზე შოთა კიკნაძე კიაჯოს როლში.

საზღვარგარეთ ქართული კულტურის გატანას საკმაო ტრადიცია აქვს. ეს ტრადიცია განსაკუთრებით თვალსაჩინო და ნაყოფიერი გამოდგა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. ამ პერიოდში მრავალ უცხო ენაზე ითარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. მსოფლიოს თითქმის ყველა მთავარი ქვეყანა გაეცნო ქართული ხალხური ცეკვების საოცრად მდიდარსა და მომხიბლავ სამყაროს. ამავე პერიოდში ბევრ ქვეყანაში მოისმინეს თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. თავისი დიდი საშემსრულებლო ოსტატობა უჩვენეს საფრანგეთის, კანადის, ბელგიისა და სხვა სახელმწიფოების მუსიკისმოყვარულთ ქართველმა პიანისტებმა და მევიოლინეებმა, საესტრადო ხელოვნების ოსტატებმა, თვითმოქმედი ანსამბლების მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.

და თუმცა „დაისის“ წარმატება დასავლეთ გერმანიაში არ არის უჩვეულო და მოულოდნელი, მაინც სრულიად ახალი მოვლენაა, რადგან მისი გაცნობით დასავლეთ გერმანიის მსმენელნი ფაქტიურად პირველად ეზიარნენ ქართულ საოპერო კულტურას, უაღრესად მნიშვნელოვანსა და სრულქმნილს, ხელოვნების ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც ბრწყინვალედ არის შერწყმული ეროვნული კლასიკური საოპერო მუსიკა, მრავალსაუკუნოვანი ქართული საგუნდო და საცეკვაო ხელოვნება, საოპერო სპექტაკლის დადგმის კულტურა და მომღერალთა მაღალი საშემსრულებლო კლასი.

ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ ღირსეული წარმატება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საოპერო ხელოვნების ამ ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში, გვაფიქრებინებს, რომ არც ისე შორეულ მომავალში მსოფლიოს სხვა ქვეყნებიც გაეცნობიან ქართველი კომპოზიტორის უკვდავ შემოქმედებას და ქართული საოპერო ხელოვნება თავის ადგილს დაიჭერს დიდი საოპერო ტრადიციების ერებს შორის.

აი რა ჰქმნა „დაისმა“!

ვახტანგ კუპრავა

სამოცდამეცამეტე ქვეყანაში

საზღვარგარეთ საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი. ლიბანი 73-ე ქვეყანა იყო, სადაც ამ სახელმოხვეჭილმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა თავისი ხელოვნება აჩვენა. ბეირუთში გამართულ კონცერტებს დიდი წარმატება ხვდათ. ქართველ მოცეკვავეთა კონცერტები, რომლებიც იუნესკოს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში გაიმართა, დაემთხვა საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გახსნას ლიბანის დედაქალაქში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან ჩამოსული მრავალი დამთვალიერებელი ამ გამოფენაზე ეცნობოდა საბჭოთის კულტურას და ამავე დროს ესწრებოდა ანსამბლის კონცერტებს.

მაყურებელთა სურვილისამებრ იმპრესარიომ გააგრძელა ქართველ მსახიობთა გასტროლები. პრესა აღნიშნავდა ანსამბლის უბადლო თავისებურებასა და შესანიშნავ ტექნიკურ ხელოვნებას. კონცერტებს დაესწრნენ ქვეყნის ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის ელჩი ლიბანში ს. აზიმოვი.

ამ დღეებში თბილისში მოვიდა დეპეშა: „ლიბან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაცია დიდ მადლობას გიძღვნით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ანსამბლის ტრიუმფული ტურნე აღნიშნა პრესამ და ლიბანის ტელევიზიამ. დღეგრძელი იყოს ლიბანისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა“.

შეკითხვაზე, როგორია თქვენი მომავალი გეგმები, ილიკო სუხიშვილმა განაცხადა: — წლეულს ჩვენი ანსამბლი მეოთხედ ეწვევა ინგლისს. მართალია უკვე გამოვძებნეთ საერთო ენა ინგლისელ მაყურებელთან, მაინც ეს დიდად პასუხსაგები გასტროლებია და მეტად დაძაბულად ვემზადებით ამისთვის. ინგლისის შემდეგ გავემგზავრებით ჰოლანდიაში. ეს იქნება მესამე შეხვედრა ჰოლანდიის საზოგადოებრიობასთან.

საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ანსამბლი კონცერტებს გამართავს ლენინგრადსა და ბალტიისპირეთის ქალაქებში. მარტში საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე.

ჭართული პიესა მოსკოვში

ჩვენს ქვეყანაში ძალზე პოპულარული გახდა დრამატურგ ოტია იოსელიანის კომედია „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ქართველი მწერლის ქმნილება ათობით თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა. ეს კომედია მოსკოვში საგასტროლოდ ჩაიტანეს პერმის, ვორონეჟის, ხარკოვის, ორჯონიკიძის თეატრებმა.

დედაქალაქის მაყურებელსა და მოსკოველ სტუმრებს საშუალება აქვთ დაესწრონ გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური და მოსკოვის გოგოლის სახელობის დრამატული თეატრების ახალ წარმოდგენას — „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

იუგოსლაველთა მადლობა

ტყიბულში დიდი სიყვარულით სარგებლობს მეშახტეთა ცეკვის ანსამბლი და ქართულ ხალხურ საკრავთა ტრიო. ამ თვითმოქმედ კოლექტივებში ოცდაათ კაცზე მეტია გაერთიანებული. ესენი არიან მეშახტეები, მშენებლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

ანსამბლის კონცერტებით არაერთხელ მოხიბლულან მოძმე რესპუბლიკების მშრომელებიც. შარშან დეკემბერში კი ტყიბულელებმა იუგოსლაველებს ათმეს.

ამ დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტში მოვიდა მადლობის წერილი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის საზოგადოების წევრი, ბელგრადის საბჭოთა სახლის დირექტორი პ. პეტერსონი:

„ბელგრადის საბჭოთა კულტურის სახლი გულითად მადლობას უძღვნის მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის კულტურის სახლის თვითმოქმედ კოლექტივს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი მიძღვნილ საღამოში, 1972 წლის 20 დეკემბერს რომ გაიმართა ბელგრადში. საღამოს 500-ზე მეტი ბელგრადელი დაესწრო. ანსამბლმა გვიჩვენა ქართველი ხალხის ეროვნული ხელოვნების თვითმყოფადობა.

ტყიბულის კულტურის სახლის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა კონცერტი გამართა აგრეთვე ზაგრების სტუდენტთა საერთაშორისო კლუბში, რამდენიმე ნომერი აჩვენა ხორვატიის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე, რომელიც ზაგრებში მოეწყო. საზოგადოებამ ტყიბულელთა ყველა გამოსვლა აღფრთოვანებით მიიღო.

ვსარგებლობთ შემთხვევით და საუკეთესო სურვილებს ვუძღვნით იუგოსლავიაში მოწყობილი გასტროლების ყველა მონაწილეს“.

გაქცარეო

დიდი ალიარება

კოტე მარჯანიშვილის იუბილე მოსკოვში

თეატრი — დღესასწაული, თეატრი — თანამედროვე — ეს ორი იდეა იყო კოტე მარჯანიშვილის დიდი და რთული შემოქმედებითი გზის ლეიტმოტივი. ეს იდეები იყო მთავარი საიუბილეო საღამოზეც, რომელიც გაიმართა მოსკოვში, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობების ცენტრალურ სახლში. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, მარჯანიშვილის, მისი მოწაფეებისა და თანამებრძოლების დღესასწაული, რომელშიც მთავარი მოქმედი პირი იყო თვით დიდი რეჟისორი — ადამიანი, დღესაც რომ ისე ელაპარაკებიან თეატრის სცენაზე ახალი თაობები, როგორც ცოცხალს, მათ გვერდით მყოფს.

ამ საიუბილეო საღამომ შეკრიბა სახელგანთქმული მსახიობებისა და რეჟისორების, თეატრალური და საზოგადო მოღვაწეების თანავარსკვლავედი. ელენე გოგოლევა, მიხეილ ჭაოვი, ვერა მარეცკაია, მიხეილ ცარიოვი, სოფიო გიაცინტოვა, ალექსანდრა ზუევა, ნიკოლოზ გრიცენკო, გიორგი ტოვსტონოგოვი, ლეონიდ უტიოსოვი, პავლე მარკოვი, ერვანდ სიმონოვი, ბორის პეტკერი, ირაკლი ანდრონიკაშვილი, ირინე სავინა, ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ვასო გოძიაშვილი და ბევრი სხვა მოვიდნენ რეჟისორის იუბილეზე, რათა კიდევ ერთხელ ეთქვათ, რომ მის შემოქმედებით ტრადიციებზე იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან რეჟისორთა და მსახიობთა თაობები.

სცენაზეა კოტე მარჯანიშვილის დიდი პორტრეტი, მის ქვეშ მოჩანს ციფრი „100“, დაფნის ტოტი და წითელი მიხაკები. იგი კონსტანტინე სტანისლავსკისთან, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, ევგენი ვახტანგოვთან, ვსევოლოდ მეიერჰოლდთან და სხვა გამოჩენილ რეჟისორებთან ერთად იყო თვისობრივად ახალი საბჭოთა თეატრის შემქმნელი, იდგა მის სათავეებთან. მან შექმნა ქართული საბჭოთა თეატრი, სიცოცხლის 25 წელი მოახმარა რუსულ თეატრს.

მისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ნიჭი იყო ჰეშმარიტად ყოვლისმომცველი — მას ხარკი გადაუხადა თითქმის ყველა მუზას. ეძებდა ბევრს, რაც იპოვნა, დღეს გახდა მთელი საბჭოთა თეატრის სიმბოლო — დიდი ცხოვრებისეული სიმართლე, მშობლიური ხალხის თავდადებული სამსახური. ეს არის დიდი რეჟისორის — კოტე მარჯანიშვილის დამსახურება.

ამაზე ილაპარაკა საიუბილეო საღამოს გახსნისას სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ელენე გოგოლევამ. „დღეს, — თქვა მან, — ჩვენ, მსახიობთა უფროს თაობას, გვსურს მოვიგონოთ, თქვენ კი, ახალგაზრდებს, გესაუბროთ საოცარ, შთაგონებულ, დიდ რეჟისორზე. ძნელია თეატრის ისტორიაში მოიძებნოს სხვა ისეთი რეჟისორი, რომელსაც მასავით უყვარდა მსახიობი, მასავით ეხმარებოდა ნიჭის გამოვლინებაში.

მასთან მუშაობა მომიხდა 1933 წელს, როცა იგი მცირე თეატრში მოიწვიეს ფრიდრიხ შილერის პიესის „დონ-კარლოსის“ დასადგმელად. ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით მასზე, ვიცოდით კიევში გახმაურებულ „ფუენტე ოვეხუნას“ შესახებ, ვიცნობდით რიგაში დადგმულ მის სპექტაკლებს, რეჟისორის დიდ მეგობრობას მაქსიმ გორკისთან, ვნახეთ მისი ქართული „ურიელ აკოსტა“, როცა მან ეს საოცარი სპექტაკლი ჩამოიტანა მოსკოვში გასტროლებზე. აღტაცებული ვიყავით მისი დახვეწილი, მაგრამ ამასთან ფიქდოვანი გაფორმებით, რეჟისორის მიერ გამოყენებული ფერების გამო, მელოდიური მუსიკით, რომელიც უაღრესად შეესატყვისებოდა სპექტაკლს, დიდი მსახიობების უშანგი ჩხეიძისა და ვერიკო ანჯაფარიძის თამაშით, რომლებიც მარჯანიშვილმა აღმოაჩინა.

მაგრამ ერთობლივი მუშაობა რაღაც ახალს გვიქადდა. ისეც მოხდა. შემოვიდა ჰაღარა, უჩვეულოდ ახალგაზრდა, მგზნებარე. შავთვალა კაცი, და პირველი წაკითხვისთანავე გაგვაცნო პიესის თავისეული ხედვა. საერთოდ კი მას არ უყვარდა მაგიდასთან პიესის კითხვა, სცენას ესწრაფვოდა. იგი მსახიობისაგან მოითხოვდა დიდ პლასტიკას, მუსიკალობას, სახეში ღრმად ჩაწვდომას. თუ ხედავდა, რომ მსახიობს მისი სჯეროდა, მაშინ რაღაც უჩვეულოდ აღენთებოდა ხოლმე თვალი და სურდა რაღაც უნდა დასჭდომოდა დახმარებოდა მას, გამოეჩინა თავი, არ გაემეორებინა რეჟისორის ჩვენება.



მაგრამ მას არ ეწერა თავისი პრემიერის „დონ-კარლოსის“ ნახვა. იგი გარდაიცვალა საბრძოლო საგუშაგოზე — თეატრში, რომლისთვისაც არ დაუშურებია არაფერი“.

საიუბილეო საღამოს მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ეთერ გუგუშვილის საინტერესო მოხსენება კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

გულთბილად მოიგონა მამა რეჟისორის შვილმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბორის პეტკერმა ილაპარაკა იბსენის პიესის — „მშენებელი სოლნესის“ რეპეტიციებისა და დადგმის შესახებ კორშის თეატრში, სადაც 1931 წელს მიიწვიეს მარჯანიშვილი. ამ სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა თამარ ვახვახიშვილმა, მხატვრულად გააფორმა პეტრე ოცხელმა. „ერთ-ერთ სცენაში, — იგონებს ბორის პეტკერი, — მე უნდა მოვმკვდარიყავი. მარჯანიშვილმა მითხრა: „აბა, ბორია, მიჩვენე, როგორ მოკვდები!“ მე ვუჩვენე, მაგრამ აშკარად დიდი დრამატიზმით ვკვდებოდი. მარჯანიშვილმა დაიცინა ჩემი აღტყინება და მითხრა, ეგრე მხოლოდ სამხატვრო თეატრში კვდებიანო. შემდეგ მიჩვენა, როგორ უნდა მოვმკვდარიყავი პეტრე ოცხელის დეკორაციებში“.

როგორც ყოველთვის, ცოცხალი და საინტერესო იყო რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მშვრალ ირაკლი ანდრონიკაშვილის გამოსვლა; ამჯერად მან უღალატა მისეულ ამპლუას და მაყურებელს წარუდგა, როგორც მომღერალი. ირაკლი ანდრონიკაშვილმა გაიხსენა თამარ ვახვახიშვილის მელოდიები „ურიელ აკოსტასთვის“ და იმღერა, რითაც დიდი ხალისი გამოიწვია დარბაზში.

რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ალისა კონენი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საიუბილეო საღამოს, მაგრამ მან შეარჩია ნაწყვეტები კოტე მარჯანიშვილზე მოგონებებიდან და სთხოვა რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ირინე სავინას წაეკითხა ისინი. ამ ნაწყვეტებში ჩაქსოვილია სიტყვები დიდი მადლიერებისა დიდი რეჟისორისადმი.

საღამოს მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო არტისტების დოდო ანთაძის, ვასო გოძიაშვილის, გიორგი ტოვსტონოგოვის, უკრაინელი ხელოვნებათმცოდნეობის პროფესორის ნიკოლოზ ოსიპენკოს გამოსვლებმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოებრიობის, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით დოდო ანთაძემ მადლობა გადაუხადა საღამოს მონაწილეებს. — „ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სიყვარული და პატივისცემა ქართველი რეჟისორისადმი. მას უსაზღვროდ უყვარდა რუსეთი, თავის მეორე სამშობლოს უწოდებდა მას და უზომოდ მადლიერი იყო ყოველივე იმისათვის, რაც მისცა რუსულმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ, რუსი ხალხის კულტურამ“.

საღამოს დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია თამარ გაბარაშვილის, ლიანა ისაკაძის, ლამარა ჭყონიას, ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „გორდელას“ საშემსრულებლო ოსტატობამ. ამ უკანასკნელმა შეასრულა არჩილ ჩიმაკაძის სიმღერა „ფიროსმანი“ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის აკომპანიმენტით.

შესანიშნავი იყო საღამოს მეორე განყოფილება, რომელიც მიჰყავდა საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ივანე რუსინოვს. მოსკოვის თეატრების მსახიობებმა შეასრულეს ნაწყვეტები ოტია იოსელიანისა და ნოდარ დუმბაძის პიესებიდან „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

შემდეგ ნაჩვენები იყო მესამე მოქმედება თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“, რომლის მარჯანიშვილისეული დადგმა მისი ასი წლისთავისათვის აღადგინა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ. როლები შეასრულეს სოფიკო ჭიაურელმა და კოტე მახარაძემ. ანსამბლი „გორდელა“ მღეროდა „მრავალჟამიერს“.

დიახ, მრავალჟამიერ იცოცხლებს კოტე მარჯანიშვილის შემოქმედება. მისი ბრწყინვალე ნიჭი დიდხანს გაუნათებს გზას ქართულ საბჭოთა თეატრს.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტში

16 თებერვალს გაიმართა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომა თბილისის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ.

სხდომაზე მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თვალსაჩინო ქართველი პოეტი, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი იოსებ ნონეშვილი.


იოსებ ნონეშვილი ცნობილია როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე და მშვიდობის მომხრე. მისი შთამაგონებელი შემოქმედება გამსჭვალულია ხალხთა მშვიდობისათვის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარებისათვის ბრძოლის იდეებით. პოეტის ლექსებში გაისმის მოწოდება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, პროგრესის ძალების შეკავშირებისათვის ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე დამიანე გოგოხია.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის წერილების ფრაგმენტები

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მაგალი თოდუამ ირანში ყოფნისას, თებრიზისა და თეირანის ბიბლიოთეკების უძველეს ხელნაწერთა შორის აღმოაჩინა დავით აღმაშენებლისა (1089-1125 წლები) და თამარ მეფის (1184-1213 წლები) წერილების ფრაგმენტები.

ნაპოვნი დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა.



ქართული ბროლი ბერლინში

ქუთაისური ბროლი დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. წლეულს მაისში ბროლი ბერლინში საერთაშორისო ბაზრობაზე გაიგზავნება.

სურათზე: ქუთაისის ბროლის ნაკეთობანი.



მიხის ყივილი

მიხეილ ჯავახიშვილი

ექიმმა გამსინჯა და მითხრა:

— ძალიან დაღლილხართ, უნდა დაისვენოთ, გადით პარიზიდან — ან ზღვისკენ გაისეირნეთ, ან პალმებს შეეხიზნეთ. თითიც აღარ გაანძრიოთ: სჭამეთ, სვით, იხეტიალეთ. იბანავეთ და იგორავეთ. თქვენი წამალი მარტო ეს არის. ორეულარ!

პარიზს ვერ მოვწყდებოდი. ვიღაცამ მირჩია ნოუანი.

საკვირველია: სადაც ზღვა სისხლი დაიღვრება, იმ ალაგს რაღაც იდუმალი ძალა მიეცემა: მისი სახელი მთელ ქვეყანას მოედება და ისტორიაშიც დარჩება. ყველას იზიდავს და იპყრობს იგი, თუნდაც უდაბური, მიუსაფარი და მიუვალი იყოს.

ალბათ ამიტომ ავირჩიე მდინარე მარნა და მის ნაპირზე გაშლილი ნოუანი.

პატარა ქალაქია. პარიზის გარეუბნიდან ერთი საათის სავალი ძლივს იქნება, თუნდ შარანტონის ჭალებს ავუაროთ, გინდ ვერსენის ტყე გადასჭერით — უმალ ამ ქალაქს წააწყდებით.

ალარ დავაყოვნე: ერთი ოთახი — „პტი შამბრ“ დავიჭირავე და ექიმის დარიგებას გავუეცი: დილით-საღამომდე თითსაც აღარ ვანძრევ. ვჭამ, ვბორიალებ, მწვანეზე ვგორაობ და ნახევარ დროს მარნასა და მის ნაპირებზე ვატარებ.

არსად მინახავს ასეთი მდინარე — რონა თუ შეედრება.

ღრმა და განიერ არხს მომაგონებს: დინჯი, მშვიდი, ზანტი და ანკარა. მუდამ სთვლემს, იზმორება, ილოღნება. ზედაპირზე. ჩალიხ ერთ ღერსაც იშვიათად მოსძებნით. ხოლო ფსკერი — მუქი და დახავსილი — ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს, როგორც კენწი ჰიქის ძირში

პატარა ქალაქს, ბალიც პატარა აქვს, სამაგიეროდ ჩრდილოვანი, სუფთა და მყუდრო.

ერთხელ, ნახადილევს, სანამ საბანაოდ ჩავიდოდი, ამ ბაღში შევიხედე, ვეება წაბლის ქვეშ გრილი ბინდი ჩაწოლილა. ხის ჩრდილში გრძელი სკამი მოსჩანს. მივედი და დავჯექი.

ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი მოდის — ჩანჩალით და ცანცარით.

უფრო მოეთრევა, ვიდრე მოდის და ერთ ფეხსაც კონკილასავით მოათრევს.

ხელში კოურიანი ჯოხი უჭირავს, ძნელი სათქმელია: ჯოხი ჰშველის მომავალს, თუ მოხუცი ჯოხს. ორივენი ძლივს მოფარფატებენ.

პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. ჩრდილში რომ შემოვიდა, უცებ შესდგა — გამწყრალი თუ გაოცებული. მთრთოლვარე ხელით თვალები დაიჩრდილა და მომაშტერდა. მე ვზივარ და ვუცქერ.

დიდხანს დგას და ცახცახებს, თანაც მიბღვერს და ხრინწით ახველებს.

მერე გაბრუნდა და წავიდა. თან განიერ და მოხრილ ბეჭებზე წყრომა მომაჩვენა.

„ალბათ შეჩვეული ალაგი წავართვი. — გავიფიქრე და თავი ვიმართლე: — სკამი გრძელია. მოვიდეს და დაბრძანდეს“.

მეორე დღეს იმავ დროს იმავ სკამზე ვზივარ და წიგნს ვკითხულობ. ქვიშის ხრაშუნა მომესმა. ისევ ის მოფარფატებს. ჩრდილში შემოდის და გუშინდელივით მაშტერდება.

— ასსეიე ვუ, მესიე — დაბრძანდით, ბატონო, — მივუპატიე და ნაპირისკენ გავიწიე.

მოლასლასდა, კრუსუნით დაეშვა და გაშეშდა.

ჩვენი ყუჩიელი ბინდსა და სიგრილეს ეზავება. ღრმა დუმილს იშვიათად არღვევს ჩემი წიგნის ფურცვლა და მოხუცის სუნთქვა. შემდეგ წიგნი გვერდით მოვდე. პაპიროსი გავაბოლე და რინდში გავეხვიე. ცხელა. მოთენთილი ვარ. ძნელი გასარჩევია, ვზივარ თუ ვდღევარ.

სივრცეს გავაცქერი და მოუუტყული თვალით ვხედავ: მოხუცის ცანცარა თავი გაშლილი წიგნისაკენ იღუნება. მერე უცბათ დააფრინდა, თითქო მშიერი მოხრაკულს დასწვდაო: წიგნი გაუყალბებულ თვალებზე მიიდო და ჩააცივდა, ვადაშალა, გადმოფურცლა, სათაურს დააშტერდა და მომიბრუნდა:

— პარდონ, მესიე — ბოდიშს ვიხდი, რა ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი?

— უორკიენ, — ვუპასუხე, — ქართულად. გაგიგონიათ ქართული, საქართველო?

შიშით შემომხედა, შეკრთა, თითქოს ცეცხლს წააწყდაო. წიგნი სწრაფად დაჰკეცა, თითქმის მომიგდო, წამოდგა და ჯაგჯაგით წავიდა, თითქმის გაიქცა. უცბათ მოტრიალდა, თვალები ხელით დაიჩრდილა, შემომხედა და, თითქო უარესად დაშინდაო, ნაბიჯს მოუხშირა, თან ქვიშნარზე კოურიანი ჯოხით გრძელი და ტალღოვანი ლარი გაიყოლა.

გაშეცინა.

„აზრი რამ თუ აქვს აკვიატებული“ — გავიფიქრე და მარნასაკენ გავწიე.

მეორე დღეს ერთ პატარა სახლთან, ხლართიან რკინის კარებთან, ისევ იმ მოხუცს მოვკარი თვალი. მოდრეკილ ბოძივით იდგა და საკუთარ ფეხს დასცქეროდა. დამინახა, მოსხლტა, ეზოში შევარდა, მალალ ბუჩქებს მიეფარა.

ისევ ჯამეცინა. ოციოდე წამის შემდეგ ანკარა მდინარეში ვპუუმპალაობდი. ის მოხუცი და მისი ნაკვიატი კი, რა თქმა უნდა, თავიდან ამოვიგდე და გრილ მდინარეს გავატანე.

* * *

ერთი კვირა გავიდა, უცნაური მოხუცი ბაღში აღარ მოსჩანს. საშაგიეროდ ორჯერ წავაწყდი ქუჩაში, ერთხელ — თავის სახლის წინ იჯდა და სთვლემდა, რომ დამინახა, წამოდგა და ცალი ხელით რკინის კარებს მოეჭიდა, თითქო გასაქცევად მოემზადაო, თან მოხუკულ თვალს მადევნებდა და თეთრი ნიჩბის წვერებში შიშნარევ ღიმილს მალავდა.

შორიდანვე გავუღიმე და სალამი მივეცი — უღრმესი და თავაზიანი.

ჰპენტალი წვერ-ულვაშიდან, თითქო მოთოვლილი ფანჯრიდან, ოქროს კბილებმა გამოიხედეს. დაშინებულმა ბებერმა პასუხი არ მომცა. სამაგიეროდ შეჩერხლული სარკმელი უფრო განივრად გააღო და ოქროს ბზინვა მზის ხხივებივით გამომაყოლა.

რომ დავშორდი, შევდექი და მოვიხედე, მოხუცის სხივთა კონა ისევ მე მჭონდა მობჭენილი. ეხლა იმ სარკმლიდან და ორი მოხუცური სანათურიდან, ფანჯრის ზემოდან რომ იჭყიტებოდნენ, თბილი ტალღებივით მელამუნებოდნენ უცნობის ნდობა, სიდასწვდა, ნერვიულად ჰფურცლავს, თვალებს აცეცებს, თან ჩიფჩიფებს:

— ხეტ ეტონან, ხელა — საკვირველია, ხაოცარია!

— რა არის საკვირველი, ბატონო კაშორ?

— ისე ვთქვი... არაფერი.

წიგნი დამიბრუნა და მიუჩოქა. სდუმს და გაცრეცილ ტუჩებს აცმაცუნებს, განიერ წვერებს აცანცარებს, თითქო სათქმელი აქვს და შიგ გაეხირაო. მერე ცახცახა ხელი ხელზე დამადო, წვერულვაში უარესად აიფრიალა და ხრინწიანი ჩურჩულით ჩამინიავა:

— ახლა თქვენი აღარ მეშინია... ქართული რაინდობის იმედი მაქვს... იმედი მაქვს, არ გამცემთ.

— რა თქმა უნდა, ეგ რა სათქმელია! — დავამშვიდე.

— კარგა ხანია ამბობენ, რუსეთში [illegible] აღარ არისო... თვალთ დამაკლდა, გაზეთს ველარ ვკითხულობ. ამიტომაც გეკითხებით, მართალია ეს ამბავი?

— მართალია, — დავუდასტურე. — ძველისა აღარაფერი დარჩა: არც მეფე, არც უანდარმი, არც გენერალი.

— უუჰ! — შვებით ამოიოხრა. — მრავალჯერ მითხრეს, მაგრამ... მაინც... ისე გავთხეთ. სიურთხილეს თავი არა სტკივაო.

ლიჭა ენიდან, ისიც ფრანგული ქილოთი. პირღია შევცქეროდი.

„ალბათ ეს ამბავი აეკვიატა“ — გავიფიქრე და ხმამაღლა შევეკითხე:

— მიამბეთ, იქნება გახსოვთ, როგორ მოხდა ის ამბავი, ჩერნიაკის ამბავი?

ვეკითხები, თანაც არა მჯერა, რომ ეს ბებერი იმ საქმეში რეულიყოს.

* * *

ყლაპაყლუპით, ძაგძაგით და ფორბილით მიამბობს — თითქო წყალში იხრჩობაო. უხთავრესი ავიწყდება, უუმცირესი აგონდება.

— ჩერნიაკს შავი ულვაშები ჰქონდა — და დაჰამული ჩაფიქრების შემდეგ: — ყალბი მანიფესტი დავბეჭდეთ მეფის სახელით, ხე-ხე!

ყაზანში აჯანყება უნდა მოეხდინათ. პოლონელებთან იყვნენ შეთქმულნი. ვერ მოხერხდა, დაპატიმრება დაიწყო. ჩერნიაკი და კაშორი გაიქცნენ და აჯანყებულ პოლონელებს მიემხრნენ.

— ჩერნიაკი დამეკარგა. მე კიევში ჩავედი, იქიდან გავიპარე და... — და აბორძიკდა: — ჩავეწერე რუ... რაყ... რუეიცკის რაზმში.... დიახ, რუეიცკის ლეგიონში ჩავეწერე. დობრე პანე იყო პან რუეიცკი. — და წამოიძახა: — რუონდ ნაროდოვი!

— ეგ რაღა არის?

— მთავრობა, პოლონეთის მთავრობის სახელია — გუვერნემან პოლონე. რუონდ ნაროდოვი!

პოლონელები დამარცხდნენ, ძალიან დამარცხდნენ. კაშორი ისევ კიევში შემოიპარა.

— ჩერნიაკი? ჩერნიაკს რაღა დაემართა?

შუბლი მოიხრიხა, ხსოვნის ძაფი დაიჭიმა და ხელი ყელზე წაიცურა.

— ჩამოახრჩვეს?

— ხესა, დიაღ, ჩამოახრჩვეს.

— პან რუეიცკი?

ალარ ახსოვს. იცოდა, მაგრამ დაავიწყდა.

— მერე? მერე რა მოხდა?

— მერე კატორღაში ჩამხვეს.

— კიევში დაგაპატიმრეს? — ვეკითხები. არა, სხვაგან დააპატიმრეს.

ალარ ახსოვს კაშორს, როგორ გაიქცა კიევიდან, ან სად იმალებოდა, ან საით მიდიოდა. ერთი რამე მაინც გაიხსენა: დიდი მდინარე იყო, ძალიან დიდი — გრანდ რივიერ, ბიენ გრანდ.

— ვოლგა ხომ არ ერქვა? — გავახსენე.

— ხესა, ხესა! — ეგ არის, ეგ!

იმ მდინარით მიდიოდა იმ ჭალაჭისკენ... კაზანისკენ. ნაპირს მიადგა, საზამთროს საყიდლად გადმოვიდა, რომ სინჯავდა, სწორედ ამ დროს დასწვდნენ და —

— მარტე — დამაპატიმრეს.

ბევრი რამ დაუვარდა დაჩლუნგებულ მეხსიერებას: გასამართლება, შორი გზა და კატორღაც, ზოგი რამე მაინც ახსოვს.

— ერთხელ ტუსაღები სოფელში გაგვატარეს, ვიღაც დედაკაცმა კომბოსტოს გათლილი ღერო მომაწოდა.

— ოოჰ, რა გემრიელი იყო! — და ცანცარა წვერებში სიამით ხვნხვნებს.

კიდევ ავგონდება: ერთმა ტუსაღმა მეორეს კბილი ჩაუმტვრია:

— სეტე ტ კრიბლ! — საშინელი იყო, საშინელი!

შავი სახლი — ლა მეზონ ნუარ, — ახლა დაარქვა კაშორმა კატორღას — მუდამ დაკეტილი იყო, ტუსაღები მალაროში მუშაობდნენ, ვერცხლის მადანს თხრიდნენ.

— მეც ვმუშაობდი. აი ეს ხელები მუდამ დაქლეტილი მქონდა, დამავიწყდა იმ საზარელი სახლის სახელი.

— ნერჩინსკი? — ვცდილობ გავახსენო, — აკატუი?

— ხესა, ხესა! — უხარიან ნაკატორღალს. — აკატუი, დაწყევლილი აკატუი!

— მერე? მერე?

— მერე... მერე აღარ მახსოვს.

— მაშ როგორ განთავისუფლდით?

— ჰო, მართლა! — წასწვდა გაწყვეტილ ძაფს.

მერე ვიღაცამ რაღაც მოახერხა, სამი ტუსაღი გაიქცა, კაშარიც თან გაიყოლეს, რადგან ღონიერი, მარდი და გაბედული ვაჟკაცი იყო. მხოლოდ სამი სახელი აგონდება — ქედის, ქალაქისა და მდინარის:

— ბორზა... ადუნ ჩალონ და... ხაილარ.

— ხაილარ ქალაქია ჩინეთში, — მოვაგონე.

— მართალია, მართალი... — ვუ ზავე რეზონ, მონ შერ ამი, — და სიხარულით აცქმუტდა. მერე ხსოვნა დაიჭიმა და წამოიძახა:

— მაკაკ! მაკაკები! გაგიგიათ?

— იაპონია? — მივახვედრე.

— დიაღ, დიაღ, უაპან — იაპონია, კუნძულები... მბოლავი მთა... ჩალის ტანსაცმელი... პატარა ქალები — გეიშები, და ცხენადამიანი — რიკშები, ხე-ხე, რა სასაცილოა!

ის კვეყანა კარგად ახსოვს კაშორს.

— მგონი იქ დიდხანს ვიცხოვრე. მაგონდება ფორმოზა... სოლომონის კუნძულებიც... გვინეა და:...

და მეტი არაფერი. ახსოვს ბრინჯის, ყავისა და შაქრის პლანტაციები:

— სე ტერიბლ! საშინელია! საზარელია!

მერე ევროპაში გადმოვიდა, აღარ ახსოვს, როგორ აწ რისთვის.

— ჰო, მართლა, კიბალამ დამავიწყდა:

ერთი მაიმუნი და ერთი თუთიყუში ჰყავდა. ახი-ხი! რა სასაცილონი იყვნენ!

— სად? როდის?

როდის? აბა, რა იცის! სად? არც ეხ აგონდება. იქნებ იაპონიაში. შეიძლება ლიონშიც. შემდეგ ცოლი შეირთო, რადგან —

— მეც ადამიანი ვარ, ნუ ხე პა? ხომ აგრეა?

რა თქმა უნდა! გავამართლე.

ათშენა ოჯახი. წამოვიდნენ შვილები. მოჰყვნენ შვილიშვილებიც.

— რამდენნი ხართ?

ხთვალა და ვერ დასთვლა:

— თორმეტი ან თვრამეტი.

ერთი შვილიშვილიდა ჰყავს ამ ქალაქში. ხვები დაიფანტნენ, და დაასრულა:

— აჰა, ყველაფერი გიამბეთ, — და ხმელი ჩლავი მომხვია: — დღევანდელი დღიდან ჩვენ მეგობრები ვართ, — არა — ნუ ხე პა?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მაგრამ... თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი?

მოხუცი შეკრთა. თითქოს ნემსი უჩხვლიტესო. დაბნეული თვალები შიშით გააცეცა — ყურს ხომ არავინ მიგდებსო. მერე ყურში ჩამახველა:

— ანტრ ნუ — ჩვენში დარჩება?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

— მაშ იცოდეთ: ანდრო კაიშაური ვარ. შევკრთი.

— დიაღ, ეს არის ჩემი ძველი სახელი და გვარი: ანდრო კაიშაური.

— რაო? როგორ?! — და გავხევდი. ტანში ჭიანჭველებმა ჩამირბინეს — კაიშაური?

— დიაღ, ანდრო კაიშაური. — განმეორა. — გაგიკვირდათ, მეგობარო?

ენა ვეღარ ვიპოვნე. აქ, ამ პაწაწა ქალაქში, სადაც ალბათ ქართველის ფეხიც არ შემოდგმულა, ეს მოხუცი, ტერორისტი, დრაკონი!

— მაშ თქვენც ქართველი ყოფილხართ? — შევეკითხე.

კაიშაური უკვე სწორად იჯდა და თითქო ნაწყვილი გვარის გამყვანებას ნანობდა. ხრები შეიშმუშნა და ცივად გადმომიგდო:

— ონ დი — აგრე ამბობენ, თორემ მე... მე აღარ მახსოვს.

— აღარაფერი არ გახსოვთ? სულ აღარაფერი?

— რიენ, რიენ — არაფერი, აღარაფერი.

— გაიხსენეთ... მოიგონეთ. — ვუნჯღრევ მხრებსა და გახევებულ ხსოვნას. მაგრამ ვერაფერი გავახსენე. კაშორ-კაიშაური თვითონაც გახევდა, კუნძივით იდო და ჯაფარხლით აჩხაკუნებდა:

— რიენ... აბსოლიუმან რიენ...

— არც სოფელი, არც დედა, არც სხვა რამე?

ისევ „რიენ, აბსოლიუმან რიენ“, და მეტი არაფერი.

— ალბათ საქართველოში დაიბადებოდით, — ვაცივდები ცოცხალ მორს და კიბეების მუჯლუგუნით ვლამობ მავიწყობის დაგერევას.

— ონ დი — ამბობენ — და წამოდგა: — ორევუარ, მონ შერ. თუ გამახსენდა რამე, გეამბობთ.

— მართლა? პირობას მაძლევთ?

— უეჭველად, უეჭველად, მონ შერ, ნახვამდის, მშვიდობით.

და ახე წაფარფატდა, თითქო ფეხები მობმული ჰქონოდა და შიშობდა არ დამცვივდესო.

კაშორ-კაიშაურს ნაწყენი თვალი და აწლილი ფიქრები გავაყოლე. მეორედ და მესამედ რომ შევხედი, საყვარელი შვილივით მიმიზერდა. დღეს კი, როცა უცხოეთში, ოხრეთი თუ სამოცი წლის შემდეგ, სიხარულს შეხვდა და თავისი ქართველობაც გაახსენა, დღეს უცნაურად გარდიქმნა, გაიუცხა, თითქო ეწყინა კიდევაც, ვფიქრობდი და ვერ გამეგო.

ან ვინ იცის? ვინ გაიგებს? ვინ გახსნის ჩაბალდებული მოხუცის იდუმალებას?

* * *

აღარ ვიცოდი, კაშორი დამერქმია თუ კაიშაური. ისევ კაშორი ვამჯობინე.

— ბონ უურ, შერ მესიე კაშორ, — მივეგებალმე თავაზით და მოწიწებით.

— გაგიმარჯოთ მეგობარო, — გაუხარდა მოხუცსაც, — დაბრძანდით... ახლოს მოიწიეთ, ისევ ის წიგნი დაგაქვთ, არა? რა წიგნია, რა ჰქვია?

— ვეფხისტყაოსანი.

და მოკლედ ვუამბობ პოემის შინაარსსა და რუსთაველის ვინაობას.

— ტიენ... ტიენ! ძალიან საინტერესოა, ძალიან. — და დააყოლა: — ახა, წამიკითხეთ ორიოდე ალაგი.

ხმამაღლა ვკითხულობ, თან ვუთარგმნი. განაბული მიგდებს ყურს. ზოგჯერ ჩამიჭრის:

— სე დი ტრე ბიენ — კარგად არის ნათქვამი... შშვენიერია!.. საუცხოოა! ნამდვილი მუხიკაა, ნამდვილი.

(გაგრძელება იქნება).

დაიბადა 1921 წელს...

დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. სახელი — ვარლამი, გვარი — ვაშაკიძე.

დღეს 53 წლისაა, საბჭოთა საქართველოს თანატოლია. ისეთი იერი აქვს, არ გაგვიჭირდება ამ ადამიანის სულის ამოცნობა — ხმელ-ხმელი, მაღალი კაცია, დინჯი, ჭაღარამორეული, მეტყველი, ცისფერი თვალებით.

სადაც უნდა შეგვხვდეს, ჩვენ, თბილისელები, უთუოდ ვიტყვით, რომ ეს არის დღევანდელი საქართველოს ღირსეული მოქალაქე, ადამიანი, რომელიც ყოველთვის პატიოსნად იხდიდა მამულიშვილურ ვალს და მომავალშიც ესევე იცხოვრებს.

ვარლამ ვაშაკიძის კაცური კაცობის დასტურად მარტო სტალინგრადიც კმარა.


თუ საუბარში ჩაიყოლებ, გულს გადაუშლი, იქნებ თვითონაც გითხრას, როგორ წავიდა ოცდაათი დიდჯიხაიშელი ბიჭი ომის წინ სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ოცდაათივე ერთ ასეულში მოხვდა. სამხედრო საქმეს სწავლობდნენ, მთელ ნაწილში თითით საჩვენებლები იყვნენ, ემარჯვებოდათ ყველაფერი — ცეკვა-სიმღერა, ბურთაობა-ჭიდაობაში ხომ ბადალი არ ჰყავდათ.

ათასეულს ქართველი კაცი მეთაურობდა — ნიკოლოზ ბარათაშვილი. ისეთი ვაჟკაცი ყოფილა, თეთრ რაშზე ამხედრებული რომ გაივლიდა, მთელი ქალაქი იმას უყურებდაო.

იმ აგვისტოს დილას ქართველებთან მივიდა თურმე ათასეულის მეთაური, — ომი დაწყოო, ბიჭებო, — უთქვამს. ერთ წამს თითქოს სისხლი გაუჩერდათ ძარღვებში..

იბრძოდნენ...

ალყაშემორტყმულები უკან იხევდნენ... დასავლეთ უკრაინის ატალახებულ მიწაში ეფლებოდა კაციც და ცხენიც. ჯარისკაცებმა ჩექმებიც კი გაიხადეს და გადაყარეს, იარაღი



არ ეთმობოდათ მხოლოდ. ცხენები თვითონვე დახოცეს, მტერს რომ არ ჩაეარდნოდათ ხელში.

მე არ დამანახო, ისე მოკალი ჩემი თეთრონიო, უბრძანებია ათასეულის მეთაურს ერთისთვის. იმანაც ბრძანება შეასრულა და მერე მთელი დღე ტიროდა თურმე... შეგობარი შეჰკვდომოდეს თითქოს...

არ გასულა დიდი ხანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი იერიშზე გაუძღვა ათასეულს — ალყა უნდა გაერღვიათ და ნაწილი ტყვეობისაგან ეხსნათ.

ათასეულმა ალყა რომ გაარღვია, მუხლში ტყვიანაკრავმა მამაცმა მეთაურმა ჩაიკეცა...

... ამხნაგებზე ილაპარაკა, საკუთარი თავი დაავიწყდა. არადა, თვითონაც ამ ცხარე ბრძოლებში დაიჭრა.

ხუთი თვე ჰოსპიტალში გაატარა. მერე აიხარა, ჩემს ნაწილში დამაბრუნეთო და 42 წლის გაზაფხულზე ისევ თანამებრძოლთა შორის ჩადგა.

სტალინგრადში უკან დახევას წერტილი დაესვა. ომის ჩარხი წალმა დატრიალდა — ეხლა ვარლამ ვაშაკიძე და მისი მეგობრები მისდევდნენ მტერს.

მტერი გაიქცა ჩვენი შიწა-წყლიდან. გარბოდა ძლეული და თავს ატყდებოდა შურისძიების რისხვა.

ომი ჩეხოსლოვაკიაში დაამთავრა. აქ აინთო მისთვის ნანატრი გამარჯვების მაისის მზე.

დიდ ჯიხაიშში დაბრუნდა დიდების ორდენის კავალერი... დაბრუნდნენ სხვებიც, ოღონდ.. რამდენიმე...

შემდეგ?

ცოლი შეირთო. შეეძინათ შვილები. ცხოვრობენ თბილისში. რას საქიანობს?

ცოლ-ქმარი თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში მუშაობს, ამ რამდენიმე ხნის წინათ ამავე საწარმოში მოეწყო მათი უფროსი ქალიშვილიც.

ქარხანა დიდია და სახელოვანი. აქ აწყობენ თანამედროვე ელმავლებს, თბილისური მარკით რომ არის ცნობილი საქვეყნოდ. ამ მანქანების შემქმნელები დიდ, სასახელო საქმეს აკეთებენ. მათ გვერდით არის ჩუმი, საქმის ერთგული ადამიანი ვარლამ ვაშაკიძეც.

როგორ შრომობს ვარლამ ვაშაკიძის უბანი?

მათი უბანი კომუნისტური შრომის უბანია — პრემიებსა და ჯილდოებს, სიგელებს სიგელებზე იღებენ.

თითოეულმა იცის საქმე, ღრმად აქვთ შეგნებული თავისი დიდი მოვალეობა — მოვალეობა მუშისა, რომელიც ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს. ლამაზად, ერთი ოჯახივით ცხოვრობს ძალური დანადგართა საამქრო და ამ ცხოვრების კარგი ადამიანობით ადუღაბებს საამქროს ოსტატი ვარლამ ვაშაკიძე, საბჭოთა საქართველოს თანატოლი და ღირსეული მოქალაქე...

ჯემალ მათურელი

მეგობრობის გარეთები...

სისტემატურად იზრდება იმ სახელმწიფოების რიცხვი, რომელთა მისამართით საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება გზავნის წიგნებს, ბროშურებს, ალბომებს საბჭოთა საქართველოს ისტორიული წარსულის, დღევანდელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მიღწევებზე. საზღვარგარეთის ქვეყნებს ეს ბროშურები, ბუკლეტები, ალბომები ეგზავნებათ რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ ენებზე. ამ მასალების საფუძველზე სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებები თავიანთ ქვეყნებში აწყობენ გამოფენებს, სადაც უხვად იყენებენ საქართველოდან მიღებულ მასალებს.

საზოგადოების სახელზე არაერთი მადლობის წერილი და დეპეშა მოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელობა დიდ მადლობას გამოთქვამს იმ შესანიშნავი მასალების გამოგზავნისათვის, რომლითაც პრაღაში მოეწყო გამოფენა.

ერაყიდან მიღებულ მადლობის ბარათში აღნიშნულია, რომ ერაყის საზოგადოებრიობაში ფართო ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრის შენობაში მოწყობილმა გამოფენამ საქართველოს რესპუბლიკაზე. ერაყის სხვადასხვა ორგანიზაციებში მოეწყო აგრეთვე ქართული წიგნის გამოფენები.

— მადლობას მოგახსენებთ შესანიშნავი ლიტერატურის გამოგზავნისათვის, რომლის საფუძველზე დამასკოსა და სირიის სხვა პროვინციებში მოეწყო გამოფენები საბჭოთა საქართველოზე, — იწერებიან სირიიდან.

ინგლისიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ლონდონის გაზეთმა „სოვიეტ უიკლიმ“ თავის მკითხველებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკა.

მადლობის ბარათებია მიღებული აგრეთვე პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, იაპონიიდან, ავსტრიიდან, კამბოჯიდან, იტალიიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.

ჯილდო ღირსეულთ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის აქტივისტთათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საპატიო ნიშნების გადაცემა. ეს ჯილდოები მიენიჭათ სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის განმტკიცებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი დამსახურებისა და წარმატებებისათვის.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა კურტ ტიმემ საპატიო ნიშნები გადასცა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს უშანგ ობოლაძეს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს კობა გურულს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტს ნათელა ხუციშვილს, თბილისის უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის დოცენტს ნოდარ კიკვაძეს, გაზეთ „თბილისის“ რედაქციის უფროს ლიტერატურულ მუშაკს არჩილ ციცქიშვილს.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალური ჯილდო მიენიჭა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილებას.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი მელაძემ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ, პროფესორმა უშანგ ობოლაძემ და მხატვარმა კობა გურულმა მადლობა გადაუხადეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას საპატიო ჯილდოებისათვის. მათ აღნიშნეს, რომ ესწრაფვიან ამრავლონ თავიანთი წვლილი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში.

ფორეული ზღვებიდან


საქართველოს თევზსაჭერი ფლოტი ყოველწლიურად იზრდება. ათობით სეინერის გარდა მის განკარგულებაშია დიდტონაჟიანი ტრაულერები. მათ შორის — „ბათუმი“, „წყალტუბო“, „ქობულეთი“.

ბათუმელი მეგადურები ეხლა რეწვას ეწევიან სამხრეთ - აღმოსავლეთ ატლანტიკაში. ისინი ყოველდღიურად 50 ტონაზე მეტ ძვირფას თევზს იჭერენ. ტრაულერები „ქობულეთი“ და „წყალტუბო“ აზიის კუნძულებთან ხანგრძლივად ეწეოდნენ რეწვას და საწარმოო გემებიც წარმატებით შეასრულეს.

გემებმა კურსი ცენტრალური ატლანტიკის წყლებისაკენ აიღეს და იქ გააგრძელებენ თევზჭერას.

სპორტი

ოქროს მედლები მოუხდებოდა!



სპორტის ყველა სახეობას თავისი ჭომაგი ჰყავს — ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. ერთს რომ ჭიდაობა იტაცებს, მეორეს ჩოგბურთი მოსწონს, მესამეს კალათბურთი — კაცია და გუნება. ერთი კი არის — მეფის გვირგვინი მაინც ფეხბურთს ამშვენებს და მის ხელყოფას ვერავინ ბედავს...

მოახლოვდა გაზაფხული და სიტყვა „სტადიონი“ სულ სხვარიგად აუღერდა — დღეს იგი მხოლოდ ფეხბურთს უკავშირდება. ჩვენს გულშემატკივრებს უნდათ იცოდნენ, როგორ ემზადება მათი გუნდი კარზე მომდგარი სეზონისათვის, რა სიახლეა მის რიგებში, რა აწუხებთ ან რა ახარებთ მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს... და ჩვენც ამ კითხვებით მივადექით საქართველოს უპირველესი გუნდის, თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზას.

უფროსი მწვრთნელი ალიოშა კოტრიკაძე მოვიკითხეთ — მინდორზეაო, გვითხრა დარაჯმა... მზის გულზე ვარჯიშობდნენ ბიჭები: მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, კახი ასათიანი, დავით გოგია, დათო ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, გივი ნოდია, მანუჩარ მაჩაიძე, ზორბეგ ებრალიძე, გურამ ხინჩიგაშვილი... მწვრთნელის მოკლე რეპლიკებს ფეხბურთელები ზუსტად ასრულებდნენ, ოფლად იღვრებოდნენ, მაგრამ დაღლა არც ერთს არ ეტყობოდა...

დამთავრდა ვარჯიში. ალიოშა კოტრიკაძემ თავის ოთახში მიგვიწვია... 1951-52 წლებში თბილისის „სპარტაკში“ თამაშობდა, 52-დან 60 წლამდე — თბილისის „დინამოში“; ფეხბურთს თავი დაანება თუ არა, მწვრთნელად დანიშნეს — ჯერ ანდრო ჟორდანიას, შემდეგ კი მიხეილ იაკუშინსა და გაბრიელ კაჩალინს ეხმარებოდა „დინამოს“ სათადარიგო მოთამაშეთა აღზრდაში.

— 1966 წელს კი უკვე თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დამნიშნეს. შემდეგ გორის „დილაში“, რუსთავის „მეტალურგში“, ქუთაისის „ტორპედოში“... წლეულს, როცა „დინამოდან“ გაბრიელ კაჩალინი წავიდა, მისივე რეკომენდაციით კვლავ ჩავიბარე რესპუბლიკის პირველი გუნდი...

რითი დაიწყო?

— ბიჭებს გულახდილად ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი მათზე. ფეხბურთი თამაშია და მარცხისაგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც; როცა თანაბარ, უკომპრომისო ბრძოლაში მარცხდები, როდესაც გამარჯვებისადმი სწრაფვა ბოლო წუთებამდე არ გტოვებს, როცა მატჩს მთლიანად ეძლევი, მაყურებელი არასოდეს გაგიცრუებს, პირიქით, ტაშით დაგაჯილდოებს. მაგრამ მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად რომ გამოდიხარ, როდესაც გულდამშვიდებული უყურებ, როგორ გაქვს მოწინააღმდეგეს შენს კარში ბურთები, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ტრიბუნებზე თუ ტელევიზორებთან მსხდომი ადამიანების უპატივცემულობაა... ბიჭებმა სწორად გამიგეს ნათქვამი, გაიხსენეს მატჩები, რომლებშიც წაგება მხოლოდ და მხოლოდ მათი ცუდი თამაშით იყო გამოწვეული და თქვეს—წლეულს უკეთ ვითამაშებთო. ვფიქრობ, სიტყვას გაამართლებენ, რისი თავდებიც ვარჯიშისადმი ის კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, რომლის მოწმენიც დღეს თქვენც გახდით.

ამ რამდენიმე დღის წინათ საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ კიევის „დინამოსთან“. მატჩი საინტერესო გამოდგა, საშუალება მომეცა ნაწილობრივ მაინც შემემოწმებინა ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები... მალე გავემგზავრებით ლესელიძეში, სადაც განვაგრძობთ წვრთნას. 15 მარტს კი თბილისში საბჭოთა კავშირის თასზე ვუმასპინძლებთ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. 21 მარტისათვის დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, 1 აპრილს კი განმეორებით მატჩში ჩვენი მოწინააღმდეგენი კვლავ კუიბიშეველი ფეხბურთელები იქნებიან.

როგორც პრესაში გამოცხადდა, 15 აპრილს აღიმართება საბჭოთა კავშირის 1973 წლის პირველობის ალამი. პირველ მატჩს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ვოროშილოვგრადის „ზარიას“ წინააღმდეგ გავმართავთ. შარშან თბილისის „დინამო“ უეფას თასზე უფერულად გამოვიდა — ვერც შინ, ვერც უცხოეთში დინამოელებმა ვერ გვიჩვენეს მათთვის შესაფერი თამაში. ამ პოპულარულ ტურნირში წლეულსაც ვმონაწილეობთ. ვფიქრობ... თუმცა ბურთი მრგვალიაო.

გუნდიდან არავინ წასულა, ისე რომ მინდორზე კვლავ ძველი შემადგენლობით გამოვალთ. „დინამოს“ ვარსკვლავები აკლიაო... შარშანდელ ასპარეზობათა მიხედვით, ევროპის იდეალურ ნაკრებში უცხოეთის სპორტულმა მიმომხილველებმა რამდენჯერმე დაასახელეს მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი. სპეციალისტები დიდად აფასებენ ვლადიმერ გუცაევის, გივი ნოდიას, კახი ასათიანის, დათო ყიფიანის თამაშს. ჩვენი გუნდის პოტენციური შესაძლებლობა საკმაოდ მაღალია, მთავარია მონდომება, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, საკუთარი ემოციების დამორჩილება.

საუბრის დასასრულ დინამოელთა ახალმა მწვრთნელმა იმ სიახლეზეც გამოთქვა თავისი აზრი, 1973 წლის პირველობას რომ ახლავს — როგორც ცნობილია, არც ერთი მატჩი ფრედ აღარ დამთავრდება. თუ ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდება, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმოების სერია, ვინც იმარჯვებს, ორი ქულაც მას დაეწერება. ვფიქრობ, გამარჯვებულის ამ ხერხით ამოცნობა მთლად ობიექტური არ არის, მაგრამ რაკი დაკანონდა, ფეხბურთელებიც წვრთნის დროს დიდ ყურადღებას უთმობენ 11-მეტრიანი საჯარიმოების უკეთ შესრულების საკმეს...

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომით ითვლიანო. ჩვენც გვინდა გვჯეროდეს, რომ დინამოელთა წლევანდელი ფინიში ხელხვავიანი იქნება, თუ ჩვენს ბიჭებს შარშან ბრინჯაოს მედლები ერგოთ, წლეულს მკერდს უფრო მაღალი ხარისხის მედლებით დაიმშვენებენ... ისე კი, ოქროს შემოდგომას უველაზე უფრო ოქროს მედლები მოუხდებოდა!

რევაზ მაჭავარიანი

* * *

სურათზე: მეკარე დავით გოგია ვარჯიშზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭიდაობას რა უნდა...

საქართველოში ძიუ-დოს დიდი ხნის ისტორია როდი აქვს, მაგრამ უკვე გვყვანან საბჭოთა კავშირის, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა პრიზიორები და ჩემპიონები. ქართველ ფალავანთა ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე დღეს ისე დიდია, რომ მას თვით ძიუ-დოს კანონმდებლები — იაპონელებიც უწევენ ანგარიშს და ჩვენში გამართულ ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაში ხალისით მონაწილეობენ — რადგანაც სწამთ, რომ აქ გამარჯვების მოპოვება ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებაში წარმატების ტოლფასია.

თბილისში ამას წინათ გამართულ ძიუ-დოისტთა IV საერთაშორისო ტურნირში 11 ქვეყნის 87 ათლეტი მონაწილეობდა.

პირველივე დღიდან ტატამზე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. საბჭოთა, იაპონელი, ფრანგი, გერმანელი, ბულგარელი, კუბელი ფალავნები ერთმანეთს ეცილებოდნენ სახელგანთქმული მოჭიდავის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზს.

...ჭიდაობის თბილისელ მოყვარულთ განსაკუთრებით აინტერესებდათ მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის (ქვემძიმე წონა) გამოსვლა. შოთამ ჯერ დაამარცხა კუბელი რობერტო ბატისტა, შემდეგ ავსტრალიელ ედუარდ აელიგს სძლია, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში დამარცხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელ რუდი ასვირტთან და, როგორც მიუნხენში, ყველაფერი თავიდან დაიწყო... „მანუგეშებელ“ ტურნირში შოთამ ზედიზედ დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფალავანი ტიტლიუ ლორენცი, ფრანგი ჟან ტრიპეტი, მოსკოველი იური სოლოდუხინი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გამარჯვებულს პრიზი გადასცა ევროპის ცხრაგზის ჩემპიონმა ანზორ კიკნაძემ.

კარგად დაიწყეს ტურნირი საქართველოს წარმომადგენლებმა ანზორ მუზაევმა და გივი ონაშვილმა, მაგრამ პირველი მესამე წრეში ფრანგ ჟან ტრიპეტთან დამარცხდა, მეორემ კი იაპონელ გონოესკა ტაგიკისთან შეხვედრაში ხელი იტკინა და ასპარეზობას გამოეთიშა.

მძიმე წონის ძიუ-დოისტთა ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი იაპონელი — ჰისაკას ივატა და გონოესკა ტაგიკი. გაიმარჯვა ტაგიკიმ.

ქვესაშუალო წონაში 18 ფალავანი გამოდიოდა. აქ უძლიერესის სახელი საბჭოთა მოჭიდავემ ვლადიმერ ნევზოროვმა მოიპოვა.

გულშემატკივრებმა საშუალო წონის მოჭიდავეთა ფინალურ შეხვედრას „ქართული“ უწოდეს — ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი — გურამ გოგოლაური და რამაზ ხარშილაძე. სამწუხაროდ, ფალავანთა ჭიდილი დიდხანს არ გაგრძელებულა, უკვე 46-ე წამზე გოგოლაურმა ტრავმა მიიღო და ბრძოლა შეწყვიტა.

მსუბუქ წონაში კვლავ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ისახელა თავი — ჩემპიონობა შენგელი ფიცხელაურმა მოიპოვა, რომელსაც ტაშის გრიალში თასი და ოქროს მედალი ლეგენდარულმა მოჭიდავემ გივი კარტოზიამ გადასცა.

აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად 38 მოჭიდავე იბრძოდა, ამჯერად ბადალი არ ჰყავდა იაპონელ სუმიო ენდოს, რომელმაც ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და უძლიერესის სახელი დამსახურებულად მოიპოვა.

— ვფიქრობ, თბილისის საერთაშორისო ტურნირი საუკეთესო გამოცდა იყო ყველა ფალავნისათვის, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ძიუ-დოს ევროპული კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ავსტრალიელმა კურტ კუჩერამ. თბილისში გამართულ ასპარეზობას დიდი შეფასება მისცეს იაპონელებმაც, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადნელ ანდრეევმა მას „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ უწოდა.



ჭიდაობს შოთა ჩოჩიშვილი (მარჯვნივ)

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

რედაქტორი გივი კარგელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25